საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2602 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 იანვრის №209 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 იანვრის №209 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, სამთო მოპოვებით სექტორში

ტექნიკური დახმარების პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის საკუთარი სახსრებით.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**